

გაკვეთილი 5

ფინანსურ რესურსებზე

ხელმისაწვდომობა

საბანკო პროდუქტები

ნაწილი 2

საბანკო გარანტიები

პრაქტიკული გამოცდილებით ირკვევა, რომ სწორად შედგენილი ხელშეკრულებაც კი ყოველთვის ვერ დაგიცავთ კონტრაგენტების(სავაჭრო პარტნიორი, რომელიც გარიგების მეორე მხარეა.) მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობისგან. როგორ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი სამოქალაქო-სამართლებრივ გარიგებებში მონაწილე მხარეთა ფინანსური ინტერესების დაცვა? გამოსავალი საბანკო გარანტიაა.

რა არის საბანკო გარანტია?

საბანკო გარანტია წარმოადგენს ბანკის გამოუთხოვად ვალდებულებას, გადაიხადოს საგარანტიო თანხა პრინციპალის მიერ ბენეფიციარის წინაშე აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. საბანკო გარანტია არის დამოუკიდებელი ვალდებულება და მისი პირობების თანახმად, ბანკი ვალდებულია გადაიხადოს თანხა ბენეფიციარის პირველივე მოთხოვნისთანავე.

საბანკო გარანტია გამოუთხოვადია — ის არ შეიძლება გამოთხოვილ იქნეს გარანტიის გამცემის მიერ, თუ მასში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

გარანტიის გაცემის დროს ბანკი საგულდაგულოდ ამოწმებს თავისი კლიენტის რეპუტაციას, ამდენად, საბანკო გარანტია ადასტურებს როგორც კომპანიის ფინანსურ მდგრადობას, ასევე მის უნარს, შეასრულოს კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებები.

საბანკო გარანტია არის ვალდებულების ერთ-ერთი სახე, ხოლო ვალდებულება თავისი ბუნებით დროებითი ურთიერთობაა, რომელიც უნდა შეწყდეს. ვალდებულების შეწყვეტის ნორმალური საშუალებაა მისი შესრულება. მათი უმეტესი ნაწილი სრულდება ნებაყოფლობით და სათანადოდ. ამასთან კრედიტორს გააჩნია არსებითი ინტერესი იმაში, რომ იგი დარწმუნებული იყოს ვალდებულების შესრულებაში და ამავე დროს მაქსიმალურად ნაკლები ზარალი განიცადოს ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, კრედიტორი დაინტერესებულია იმაში, რომ აიძულოს მოვალე ჩააყენოს მისთვის ისეთ არახელსაყრელ პირობებში, რომლის შედეგადაც იგი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულებს ვალდებულებას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სხვადასხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ვალდებულების შესრულებას: გირაო, რწმუნებულება, დაზღვევა და ა.შ. აქ დასახელებული ვალდებულებანი დამატებით (აქცესორულ) ხასიათს ატარებენ, რომლებიც ძირითად ვალდებულებას ემსახურებიან. რაც შეეხება საბანკო გარანტიას, იგი დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებისაგან და აქცესორულ ხასიათს არ ატარებს.

საბანკო გარანტია (რწმუნებულება) ნიშნავს იმას, რომ ბანკი კლიენტის მიერ ვალდებულების არ შესრულების შემთხვევაში ირებს ვალდებულებას თვითონ იკისროს მისი გადახდა. გარანტია წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც ფულადი ფორმითაა გამოხატული, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. კრედიტორის წინაშე მოვალე და გარანტი (რწმუნებული) პასუხს აგებენ სოლიდალურად. გარანტია ატარებს სასწრაფო და უპირობო ხასიათს. კრედიტორს უფლება არააქვს უარის თქვას მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე. თავისი ორგანიზაციულ-ეკონომიკური სახეებით საბანკო გარანტიები მეტად მრავალფეროვანია. სვესებით მსოლოდ ზოგიერთ მათგანს

თუ ბანკს უხდება შეასრულოს ვალდებულება თავის რესურსების გამოყენებით, მაშინ მისი საგარანტიო ვალდებულებანი გადაფორმდება კრედიტად. რაც ნიშნავს იმას, რომ საგარანტიო საქმიანობის დამთავრების შემდეგ თავისთავად გრძელდება ურთიერთობა უშუალოდ კლიენტსა და ბანკს შორის და ბანკის მიერ თანხა კლიენტისათვის კრედიტად

გადაიქცევა. რისკი, რომელიც დაკავშირებულია გარანტიის გაცემის დროს კომერციული ბანკების მიერ, ანალოგიურია იმ რისკისა, რომელიც არსებობს კრედიტის გაცემის დროს.

გარანტიის ძირითადი ტიპებია:

- **კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების გარანტია**
ბანკი პრინციპალის დავალებით იღებს ვალდებულებას, ბენეფიციარს (მყიდველს ან დამკვეთს) გადაუხადოს საგარანტიო თანხა, მოიჯაროს მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.
- **ავანსის დაბრუნების გარანტია**
ამ სახის გარანტიით ბანკი იღებს ვალდებულებას დააბრუნოს ჩარიცხული ავანსის თანხა (ან მისი გამოუყენებელი ნაწილი), პრინციპალის მიერ ავანსის არადანიშნულებისამებრ გამოყენების შემთხვევაში.
- **სატენდერო გარანტია**
ბანკი ვალდებულია ბენეფიციარს გადაუხადოს საგარანტიო თანხა, ტენდერში გამარჯვებულის მიერ ტენდერით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.
- **გადახდის გარანტია**
გადახდის გარანტია— საბანკო გარანტიის გავრცელებული სახეა, რომელიც ძირითადად კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდის ვალდებულებების უზრუნველსაყოფად გამოიყენება.
- **საბაჟო ორგანოების სასარგებლოდ გაცემული გარანტია**
ამგვარი გარანტია უზრუნველყოფს საბაჟო გადასახადების გადახდას აქციზური მარკების მიღების დროს, ვალდებულებათა შესრულებას საბაჟო საწყობების გასახსნელად, ლიცენზიების გაფორმებისას, საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის დროებით შემოტანისას და სხვა გარიგებათა დადებისას.
- **ხარისხის გარანტია**
გარანტია გაიცემა მოწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების უზარისხოვრის გამო ბენეფიციარისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულების უზრუნველსაყოფად.
- **სააღსრულებო ბიუროს სასარგებლოდ გაცემული გარანტია**
ამ ტიპის საბანკო გარანტია უზრუნველყოფს უძრავ-მოდრავი ქონების შესამენად ჩატარებულ აუქციონებში მონაწილეობას

საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ვალდებულების სუბიექტური შემადგენლობის ანალიზისას, კანონმდებელმა გამოიყენა საერთაშორისო პრაქტიკაში ცნობილი ტერმინები, რომელიც რომის სამოქალაქო სამართლიდან არის ნასესხები:

ბენეფიციარი -

ე. ი. ძირითადი მევალის კრედიტორი, რომელსაც გააჩნია თანხის მოთხოვნის უფლება გარანტისაგან იმ შემთხვევაში, როცა საგარანტიო პირობების დაცვისას ძირითადი მევალე არასრულეებს თავის ვალდებულებას;

პრინციპალი -

ე. ი. ძირითადი მოვალე, რომლის ვალდებულება უზრუნველყოფილია კრედიტორის წინაშე გარანტიის საგადასახადო ვალდებულებით.

გარანტი -

ე. ი. პირი, რომელიც იღებს ვალდებულებას გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

პირი, რომელიც დაინტერესებულია საბანკო გარანტიის გაცემაში უპირველეს ყოვლისა არის პრინციპალი, რომლის თხოვნის საფუძველზეც ხდება მისი გაცემა და კანონის მიხედვით იგი ამისათვის უხდის გარანტს დათქმულ ანაზღაურებას (880.2). ანაზღაურების გადახდის წესის და პირობების არარსებობისას გარანტს მაინც აქვს უფლება მოითხოვოს პრინციპალისაგან გადაიხადოს ანაზღაურება გაწეული გარანტიისათვის ფასით, რომელიც ანალოგიურია გარანტიის გაცემისათვის დაწესებულ ჩვეულებრივ ანაზღაურებასთან. ვადა, რომელშიც გარანტი წყვეტს საკითხს გარანტიაში გათვალისწინებული თანხების გაცემა - არგაცემის შესახებ არ უნდა აღემატებოდეს ვადას, რომელიც პრაქტიკულად აუცილებელია იმისათვის, რომ შემოწმდეს მოთხოვნის შესაბამისობის საკითხი გარანტიის პირობებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში გარანტი ჩაითვლება ისეთ სუბიექტად, რომელმაც არ შეასრულა დროულად ვალდებულების შესრულება და მას დაეკისრება ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა.